დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს უნივერსიტეტ გეომედის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან კანკავა, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2025

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	უნივერსიტეტი გეომედი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	204909858
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	მეფე სოლომონ მე-2 ის ქუჩა, N4, N6, ქ.თბილისი, 0114, საქართველო
ვებ-გვერდი	www.geomedi.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	06/07/2021, MES 2 21 0000679985
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 22 ივნისი

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	
ბაკალავრიატი	2
მაგისტრატურა	2
ერთსაფეხურიანი	3
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	7
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	2

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			2100
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	947	368	83%
ბაკალავრიატი	78	45	86%
მაგისტრატურა	15	5	80%
ერთსაფეხურიანი	854	318	84%
დოქტორანტურა	-		
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-		
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-		
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	646	248	81%
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-		

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	337
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	80
- პროფესორი	34
- ასოცირებული პროფესორი	27
- ასისტენტ პროფესორი	12
- ასისტენტი	7
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	9
- მეცნიერი	9
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	77
- აფილირებული პროფესორი	31
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	27
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	12
- აფილირებული ასისტენტი	7
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	6
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	2
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	143
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	133

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	7159.31
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2891.25
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	4268.06

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შპს უნივერიტეტმა გეომედმა 2024 წლის 27 ნოემბერს წარმოადგინა ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. აღნიშნული რეკომენდაციები დაწესებულებისთვის შესასრულებლად განსაზღვრა ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2024 წლის 13 აგვისტოს №968313 სხდომის ოქმის მიხედვით.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის პირველი, მეორე და 21-ე პუნქტების შესაბამისად, დაწესებულებას განესაზღვრა არაუმეტეს 60 დღის ვადა გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.

მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ზემოაღნიშნული ავტორიზაციის არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მხრივ მდგომარეობის შესწავლა და შეფასება. გამომდინარე იქიდან, რომ ავტორიზაციის არაგეგმიური მონიტორინგი გულისხმობდა ავტორიზაციის მეორე, მესამე და მეხუთე სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზს, რეკომენდაციებიც სწორედ ამ სტანდარტებთან მიმართებით იყო გაცემული და მიმდინარე შეფასებაც შემოიფარგლებოდა ზემოჩამოთვლილი სტანდარტებით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე და დანართ დოკუმენტაციას. 2025 წლის 30 იანვარს განხორციელდა ვიზიტი სასწავლო დაწესებულებაში. ვიზიტი გაიმართა კეთილგანწყობილ და კოლეგიალურ გარემოში. დაწესებულების წარმომადგენლები ხელს უწყობდნენ ინტერვიუს სესიების განრიგის მიხედვით წარმართვას. სამუშაო ენა ინტერვიუების დროს ძირითადად იყო ქართული, ინგლისურ ენაზე ინტერვიუ წარიმართა მხოლოდ უცხოელ სტუდენტებთან. ვიზიტის განმავლობაში გამოიკვეთა დამატებითი დოკუმენტებისა და მტკიცებულებების შესწავლის საჭროება, რომლებიც ვიზიტის დასრულებამდე იქნა გამოთხოვილი. ვიზიტის ბოლოს შედგა

ხანმოკლე განხილვა ექსპერტებს შორის და ჯგუფის ხელმძღვანელმა პირველადი მიგნებების მოკლე შეჯამება გააცნო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.	
მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები: ☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი: 2024 წლის 15 და 16 აპრილი (არაგეგმიური მონიტორინგი)	
უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
სტანდარტი 2/კომპონენტი 2.1	
რეკომენდაცია 1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში და მართვის პროცესში, საჭიროა უმაღლეს მმართველობით ორგანოში აკადემიური პერსონალის არჩევითი წარმომადგენლების ჩართვა.	შესრულებულია სრულად
რეკომენდაცია 2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაზარდოს ინფორმირებულობა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ, ასევე უზრუნველყოს სტუდენტებისა და პერსონალისთვის მეტი შესაძლებლობები გაცვლით პროგრამებში და ერთობლივ	შესრულებულია სრულად

კვლევებში მონაწილეობისთვის, ასევე, ხელი შეუწყოს სტუდენტებსა და პერსონალს შორის მსგავსი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელებას.	
სტანდარტი 2/კომპონენტი 2.2	
რეკომენდაცია 3. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების მექანიზმები.	შესრულებულია სრულად
რეკომენდაცია 4. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში ასისტენ-პროფესორების/ასისტენტების წილის ზრდა, რათა აკადემიური პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა შეესაბამებოდეს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიას.	შესრულებულია სრულად
სტანდარტი 3/კომპონენტი 3.1	
რეკომენდაცია 5. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ყველა დაინტერესებული მხარის აქტიურ ჩართულობას პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში.	შესრულებული არ არის. საანგარიშო პერიოდში პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები აღწერილი არ არის. გასაუმჯობესებელი რჩება პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.
რეკომენდაცია 6. რეკომენდებულია, დაიხვეწოს სასწავლო პროგრამები იმგვარად, რომ ისინი მეტად სასურველი გახდნენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის, რაც გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმით.	შესრულებული არ არის. საანგარიშო პერიოდში პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები აღწერილი არ არის. გასაუმჯობესებელი რჩება პროგრამების განვითარების პროცესში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებების გათვალისწინება, რათა სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზანი იყოს შესრულებული.
სტანდარტი 3/კომპონენტი 3.2	
რეკომენდაცია 7. რეკომენდებულია, პროგრამების შესახებ ინფორმაცია ვებ-	შესრულებულია სრულად

გვერდზე იყოს ღიად ხელმისაწვდომი.	
რეკომენდაცია 8. რეკომენდებულია, სტუდენტებს რეალურად ეძლეოდეთ არასავალდებულო კურსების არჩევისა და შესწავლის შესაძლებლობა.	შესრულებულია სრულად
სტანდარტი 3/კომპონენტი 3.3	
რეკომენდაცია 9. რეკომენდებულია, სტუდენტების კლინიკური აქტივობები იყოს შეფასებული, თუ ეს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს.	შესრულებულია სრულად. ის კლინიკური აქტივობები, რომლებიც არ ფასდება, ვერ განიხილება საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილად.
რეკომენდაცია 10. რეკომენდებულია, სტუდენტი იღებდეს ინდივიდუალურ უკუკავშირს შეფასების ყველა ეტაპზე.	შესრულებულია ნაწილობრივ. ინდივიდუალური უკუკავშირის მიცემის გზები და ტექნიკური საშუალებები გამართული და მრავალფეროვანია, თუმცა პრაქტიკა არარეგულარულია და საჭიროებს მეტ აქცენტირებას.
რეკომენდაცია 11. რეკომენდებულია, სტუდენტები ჩართულები იყვნენ პორტფოლიოს წარმოებაში და იცნობდნენ თავიანთ შეფასებას.	შესრულებულია სრულად
სტანდარტი 5/კომპონენტი 5.1	
რეკომენდაცია 12. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ჩაატაროს დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრები სტუდენტებისთვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების გაცნობის მიზნით.	შესრულებულია სრულად
რეკომენდაცია 13. რეკომენდებულია, სტუდენტსა და უსდ-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში პუნქტი 2.2.10 (ქართულენოვანი), 2.2.8 (ინგლისურენოვანი) გადავიდეს სტუდენტთა ვალდებულებების ჩამონათვლიდან სტუდენტთა უფლებების ჩამონათვალში.	შესრულებულია სრულად
რეკომენდაცია 14. რეკომენდებულია, ჩატარდეს სტუდენტებთან დამატებითი კონსულტაცია აპელაციის პროცედურების	შესრულებულია სრულად

შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.	
სტანდარტი 5/კომპონენტი 5.2	
რეკომენდაცია 15. რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა პორტფოლიოსა და ანტიპლაგიატის პროგრამის შესახებ.	შესრულებულია მეტწილად. უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ექსპერტებს მიეწოდათ ანტიპლაგიატის პროგრამაზე საინფორმაციო შეხვედრის დასტური. პორტფოლიოს წარმოების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მექანიზმი აღწერილი არ არის და სტუდენტთა კონსულტაციების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ იქნა.
რეკომენდაცია 16. რეკომენდებულია, უსდ-მ გამოყოს უცხოელი სტუდენტებისთვის ცალკე პერსონალი/კადრი, რომელიც კოორდინირებას გაუწევს მათ საუნივერსიტეტო გარემოში წარმოქმნილი პრობლემების შემთხვევაში (როგორც ადგილზე, ისე დისტანციურად) და დაეხმარება მათ შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაციაში. ამასთან აუცილებელია, ასეთი თანამდებობის შემოღების შემთხვევაში, სტუდენტები ინფორმირებულობა ამგვარი სერვისის ხელმისაწვდომობის შესახებ დროულად და სრულად იყოს უზრუნველყოფილი.	პირდაპირი გაგებით შესრულებული არ არის, თუმცა ამ რეკომენდაციის გაცემის განმაპირობებელი გარემოებები აღარ იკვეთება, რის გამოც მიზანშეწონილი არ არის რეკომენდაციის დატოვება.
რეკომენდაცია 17. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შექმნას სტუდენტთა CV ბანკი, გაზარდოს პოტენციური დამსაქმებლების რაოდენობა, აკონტროლოს მიღებული ვაკანსიების რელევანტურობა და სტუდენტების კვალიფიკაციებს და დამსაქმებლის მოთხოვნას შორის თანხვედრა ვაკანსიების შეთავაზებისას.	შესრულებული არ არის. სტუდენტთა კარიერული სერვისები საჭიროებს დახვეწას და უნდა გახდეს უფრო მრავალფეროვანი.
რეკომენდაცია 18. რეკომენდებულია, ჩატარდეს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ უფრო დეტალური კვლევა.	შესრულებულია ნაწილობრივ. კვლევა ჩატარებულია იმავე დიზაინით, როგორც ტარდებოდა აქამდე. რაოდენობრივი მონაცემები სრულყოფილადაა მოძიებული, თუმცა საჭიროებს შემდგომ დამუშავებას მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის მიზნით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ყველა დაინტერესებული მხარის აქტიურ ჩართულობას პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში.
2. რეკომენდებულია, დაიხვეწოს სასწავლო პროგრამები იმგვარად, რომ ისინი მეტად სასურველი გახდნენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის, რაც გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმით.
3. რეკომენდებულია, ინდივიდუალური უკუკავშირი შეფასების ყველა ეტაპზე იყოს სტანდარტული და ფართოდ გამოყენებული პრაქტიკა სტუდენტების წარმატების ხარისხის გასაზრდელად.
4. რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა პორტფოლიოსა და ანტიპლაგიატის პროგრამის შესახებ.
5. რეკომენდებულია, დაწესებულებამ მეტად იზრუნოს სტუდენტების კარიერის დაგეგმვასა და კარიერულ წინსვლაზე - გააძლიეროს ურთიერთობა პოტენციურ დამსაქმებლებთან, გაზარდოს მათი რაოდენობა, შექმნას სტუდენტთა CV ბანკი, აკონტროლოს მიღებული ვაკანსიების რელევანტურობა და სტუდენტების კვალიფიკაციებს და დამსაქმებლის მოთხოვნას შორის თანხვედრა ვაკანსიების შეთავაზებისას.
6. რეკომენდებულია, ჩატარდეს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ კვლევის რაოდენობრივი შედეგებისა და დინამიკის ანალიზი შესაძლო მიზეზების იდენტიფიკაციითა და ამ შედეგის გამოყენებით პროგრამების განვითარების პროცესში.

რჩევები

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე)
2. სახელი, გვარი (წევრი) ია ნაცვლიშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაციები არ გაცემულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაციები არ გაცემულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა ვიზიტის შედეგად (2024 წლის 15 და 16 აპრილი) შესასრულებლად გაცემული რეკომენდაციები:** **რეკომენდაცია 1.** რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში და მართვის პროცესში, საჭიროა უმაღლეს მმართველობით ორგანოში აკადემიური პერსონალის არჩევითი წარმომადგენლების ჩართვა. **რეკომენდაცია 2.** რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაზარდოს ინფორმირებულობა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ, ასევე უზრუნველყოს სტუდენტებისა და პერსონალისთვის მეტი შესაძლებლობები გაცვლით პროგრამებში და ერთობლივ კვლევებში მონაწილეობისთვის, ასევე, ხელი შეუწყოს სტუდენტებსა და პერსონალს შორის მსგავსი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის

ფართოდ გავრცელებას.

დაწესებულების დებულების მიხედვით, დაწესებულების მმართველი ორგანოებია: პარტნიორთა კრება, რექტორი, აკადემიური საბჭო, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ და სამეურნეო დარგში, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, რექტორის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკულტეტის მმართველი ორგანოებია ფაკულტეტის საბჭო და ფაკულტეტის დეკანი. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედის ყველა აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები. ფაკულტეტის დეკანს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის შიდა სტრუქტურა და ფუნქციები აღწერილია უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებში/სამსახურის დებულებებში. დაწესებულების აკადემიური საბჭოს დებულების თანახმად, აკადემიური საბჭო არის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. 2024 წლის აპრილის მდგომარეობით, სანამ დაწესებულება საანაარიშო პერიოდში ცვლილებას შეიტანდა აკადემიური საბჭოს დებულებაში, აკადემიური პერსონალის წარმომადგენლობითობა აკადემიურ საბჭოში არ იყო უზრუნველყოფილი არჩევნებით. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ რექტორი, რექტორის მოადგილეები, ფაკულტეტის დეკანები, კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, დაწესებულების სხვადასხვა ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, მთავარი ბუღალტერი, ბიბლიოთეკის დირექტორი, სამსახურის უფროსები, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და სხვ. აკადემიურ საბჭოში ფაქტობრივად არ იყვნენ აკადემიური და/ან სამეციერო პერსონალის არჩეული წარმომადგენლები.

დაწესებულებამ გაითვალისწინა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაცია და ამჟამად აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ჩართულია აკადემიური პერსონალის ოთხი არჩეული წარმომადგენლი (თითო პერსონალი თითოეული ფაკულტეტიდან). საანგარიშო პერიოდში (2024 წლის 7 ნოემბერი) ცვლილება შევიდა დაწესებულების აკადემიური საბჭოს დებულებაში, კერძოდ: აკადემიური საბჭოს დებულების I. პუნქტის, 1 ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: "თითოეული ფაკულტეტის საბჭოს მიერ ხმათა უმრავლესობით არჩეული ერთი აფილირებული აკადემიური პერსონალი (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი)".

აღსანიშნავია, რომ აკადემიურ საბჭოში აკადემიური პერსონალის არჩევის ფაქტი დადასტურდა ადმინისტრაციისა და აკადემიურ პერსონალთან ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების დროს. ამასთან, დაწესებულებამ წარმოადგინა ფაკულტეტების საბჭოების სხდომის ოქმები, სადაც ფიქსირდება აკადემიურ საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების ფაკულტეტებზე არჩევის ფაქტები. ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 დეკემბრის სხდომის ოქმი, სადაც დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხია არჩეული აკადემიური პერსონალის აკადემიური საბჭოს წევრებად უფლებამოსილების ცნობის საკითხი. ახლად არჩეული აკადემიური საბჭოს წევრების მონაწილეობით დაწესებულებას 2025 წლის 31 იანვარს უკვე დაგეგმილი ჰქონდა აკადემიური საბჭოს სხდომის ჩატარება,

წარმოდგენილია აკადემიური საბჭოს წევრებთან დაწესებულების მიერ გაგზავნილი მოცემული სხდომის დღის წესრიგი.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 1 შესრულებულია.

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის, ასევე, სტუდენტებისა და პერსონალისთვის გაცვლით პროგრამებში და ერთობლივ კვლევებში მეტი შესაძლებლობების შექმნის მიზნით საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა საანგარიშო პერიოდში სტუდენტებთან ჩაატარა შეხვედრები საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ. სტუდენტებთან და დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა სტუდენტებთან ჩატარდა 2024 წლის დეკემბერში, სადაც დაწესებულების შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა დეტალურად გააცნეს სტუდენტებს გაცვლით პროგრამაში სტუდენტის შერჩევის პროცედურები. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილია ბრძანება გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით ერთ-ერთი სტუდენტის შერჩევის შესახებ.

რუმინეთის გრეგორი პოპას სახელობის მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტში (Grigore T. Popa university of medicin and pharmacy) ერაზმუს+ მიერ დაფინანსებულია გაცვლით პროგრამა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის 2024-2025 ს/წ გაზაფხულის სემესტრში. ინფორმაცია კონკურსების შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (https://geomedi.edu.ge/?cat=18).

სტუდენტის შერჩევის მიზნით გამოცხადდა კონკურსი. ამჟამად დაწესებულებას ერაზმუსის გაცვლითი პროგრამისთვის ჰყავს ორი სტუდენტი ვიზის მოლოდინში, მათგან ერთი საქართველოს მოქალაქე, ხოლო ერთი ინდოეთის მოქალაქეა. 2024-2025 ს/წ გაზაფხულის სემესტრში პოლონეთის შედლცეს უნივერსიტეტში (Siedlce University) ერაზმუს+ მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით გაგზავნილი იქნება კონკურსში გამარჯვებული ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ერთ-ერთი სტუდენტი.

ამასთან, დაწესებულება სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის აორგანიზებს სამეცნიერო კონფერენციებს. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ როგორც სტუდენტებს, ასევე პერსონალს შესთავაზა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციასა და სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკულ კონფერენციაში (https://geomedi.edu.ge/?paged=2&cat=18).

აქვე აღსანიშნავია, რომ ამჟამად აღწერილი საერთაშორისო გაცვლითი პროექტების რაოდენობა და მრავალფეროვნება მკვეთრად ჩამოუვარდება წინა ვიზიტისას აღწერილ მდგომარეობას და, როგორც ჩანს, თანხვედრაშია მოყვანილი რეალურ შესაძლებლობებთან.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 2 შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების ვებ-გვერდი https://geomedi.edu.ge/?paged=2&cat=18;
- დაწესებულების აკადემიური საბჭოს დებულება;
- აკადემიურ საბჭოში არჩეული აკადემიური პერსონალის სია;
- დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 დეკემბრის სხდომის ოქმი;
- ფაკულტეტებიდან აკადემიური პერსონალის აკადემიურ საბჭოს წევრებად არჩევის დამადასტურებელი ფაკულტეტების საბჭოების სხდომის ოქმები;
- აკადემიურ საბჭოში ახლადარჩეული აკადემიური პერონალის მონაწილეობით უახლოეს პერიოდში დაგეგმილი აკადემიური საბჭო სხდომის დღის წესრიგი;
- ბრძანება გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით ერთ-ერთი სტუდენტის შერჩევის შესახებ;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმი (13/08/2024; MES 1 24 0000968313);
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ (2024 წ. 15-16 აპრილი);
- ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებთან (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან);
- ინტერვიუები დაწესებულების ქართველ და უცხოელ სტუდენტებთან;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა ვიზიტის შედეგად (2024 წლის 15 და 16 აპრილი) შესასრულებლად გაცემული რეკომენდაციები:

რეკომენდაცია 3. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების მექანიზმები.

რეკომენდაცია 4. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში ასისტენ-პროფესორების/ასისტენტების წილის ზრდა, რათა აკადემიური პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა შეესაბამებოდეს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიას.

უნივერსიტეტში შემუშავებულია და დანერგილია ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების მექანიზმები. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა ვიზიტის დროს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების მიზნით ცალკე შექმნილი შეფასების კითხვარი არ იყო წარმოდგენილი დაწესებულების შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, თუმცა, დაწესებულება, ზოგადად, ახორციელებდა ადმინისტრაციული და დამხმარე სერვისების შეფასებას როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან. ამასთან, ხორციელდებოდა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ დაწესებულების მენეჯმენტის შეფასებაც.

უნივერსიტეტის „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგი"-ის შესაბამისად სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ვალდებულები არიან წარმოადგინონ ანგარიშები მათზე დაკისრებული ჩატარებული სამუშაოს შესახებ: სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში ყოველი სასწავლო სემესტრის ბოლოს, ასევე, სტრატეგიული გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში წლის ბოლოს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას აწარმოებს სტრატეგიული განვითარების მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფის შეფასების განხილვა ხდება აკადემიურ საბჭოზე.

რეკომენდაციის თანახმად, „სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმებ"-ში შევიდა ცვლილება: დაემატა კითხვარი №14 "დამხმარე პერსონალის შეფასების კითხვარი". კითხვარში გაწერილია დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების ინდიკატორები. ეს კითხვარი უკვე ჩაშენებულია დაწესებულების საინფორამციო მართვის სისტემაში და მიმდინარეობს გამოკითხვები. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეამოწმა საინფორამციო სისტემაში ჩაშენებული კითხვარის ფუნქიონირება, ზოგიერთ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს უკვე შევსებული ჰქონდა კითხვარი, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (მაგ. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური) გაკეთებული ჰქონდა დაქვემდებარებული პერსონალის შეფასება. სტრუქტურული ერთეულების მიერ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზი ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესი იყო ექსპერტთა ვიზიტის დროს.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 3 შესრულებულია.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტთა და პერსონალის კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა ხორციელდება ყოველწლიურად, მომდევნო

აკადემიური წლისთვის და ითვალისწინებს დაწესებულების ადამიანურ, მატერიალურ, საინფორმაციო-ტექნოლოგიურ და ფინანსურ რესურსებს.

წინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მომენტში მოქმედი სტუდენტთა და პერსონალის დაგეგმვის მეთოლოგიის მიხედვით განსაზღვრული იყო შემდეგი ნიშნულები: ყველა პროგრამისთვის ერთი აკადემიური პერსონალი არაუმეტეს 25 სტუდენტზე, ერთი პროფესორი/ასოცირებული პროფესორი არაუმეტეს 35 სტუდენტზე, ერთი ასისტენტ-პროფესორი არაუმეტეს 25 სტუდენტზე, 15 სტუდენტი პროგრამის ერთ განმახორციელებელ პერსონალზე. აკადემიური პერსონალის წილი არ უნდა ყოფილიყო 30%-ზე ნაკლები საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. აფილირებული აკადემიური პერსონალის წილი არ უნდა ყოფილიყო 30%-ზე ნაკლები საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა ვიზიტის დროს დაწესებულებაში ერთ ასისტენტ პროფესორზე/ასისტენტზე დაახლოებით 59 სტუდენტი მოდიოდა. ამრიგად, დაწესებულების ასისტენ-პროფესორების/ასისტენტების რაოდენობა არ შეესაბამებოდა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიას.

დაწესებულებამ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულების მიზნით შეიტანა შესაბამისი ცვლილებები პერსონალისა და სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში. ამჟამად მოქმედი მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი თანაფარდობები: ყველა პროგრამისთვის ერთი აკადემიური პერსონალი (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი) არაუმეტეს 35 სტუდენტზე (1/35), პროგრამის ერთ განმახორციელებელ პერსონალი (აკადემიური/მოწვეული პერსონალი) -10 სტუდენტზე (1/10). ამრიგად, შესწორდა თავად პერსონალისა და სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, კერძოდ, 2024 წლის 7 ნოემბერს შევიდა ცვლილება "სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული) კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგიაში" (I პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი). მეთოდოლოგიიდან ამოღებულია ჩანაწერი სტუდენტებისა და ასისტენტ-პროფესორების დადგენილი თანაფარდობის შესახებ. ამასთან, შესწორდა საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გათვალისწინებული სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (გახდა 1/10 ნაცვლად 1-15-სა).

ამრიგად, პერსონალისა და სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მოთხოვნილი სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობის მაჩვენებელი გაუმჯობესებულია. ასევე აყვანილია ახალი აკადემიური პერსონალიც: მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობა საანგარიშო პერიოდში დაიკავა სულ 8 ახალმა აკადემიურმა პერსონალმა, მათ შორის 1 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენ-პროფესორი და 3 ასისტენტია.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 4 შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების ვებ-გვერდი https://geomedi.edu.ge/?paged=2&cat=18;

- პერსონალის და სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ბოლო აკადემიური კონკურსის შედეგად დასაქმებული ახალი აკადემიური პერსონალის სია აკადემიური თანამდებობის და ფაკულტეტის/პროგრამის მითითებით;
- აკადემიური კონკურსის შედეგად არჩეული ახალი აკადემიური პერსონალის სია;
- აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა თანაფარდობები ფაკულტეტების მიხედვით;
- პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის მაჩვენებლები;
- დაწესებულების სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები;
- დამხმარე პერსონალის შეფასების კითხვარი;
- ელექტრონული მართვის სისტემაში ჩაშენებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების კითხვარის შევსებული ნიმუში;
- ელექტრონული მართვის სისტემაში ჩაშენებული აპელაციის/გასაჩივრების ფორმის ნიმუში;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმი (13/08/2024; MES 1 24 0000968313);
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ (2024 წ. 15-16 აპრილი);
- ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებთან (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან);
- ინტერვიუები დაწესებულების ქართველ და უცხოელ სტუდენტებთან;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაციები არ გაცემულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა ვიზიტის შედეგად (2024 წლის 15 და 16 აპრილი) შესასრულებლად გაცემული რეკომენდაციები:** **რეკომენდაცია 5.** რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ყველა დაინტერესებული მხარის აქტიურ ჩართულობას პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში. **რეკომენდაცია 6.** რეკომენდებულია, დაიხვეწოს სასწავლო პროგრამები იმგვარად, რომ ისინი მეტად სასურველი გახდნენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის, რაც გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმით. სასწავლო უნივერსიტეტ "გეომედს" მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვს შემუშავებული პროგრამების შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და შეფასების წესი, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ "საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესის საფუძველზე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლის აქტიური მონაწილეობით შეიმუშავებს საგანმანათლებლო

პროგრამას". ჩართულობის ფორმა და მექანიზმი აღწერილი არ არის, ისევე, როგორც არ იყო აღწერილი წინა შეფასების პერიოდში. მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტის თავსართი იუწყება, რომ დოკუმენტში ცვლილებების დამტკიცების თარიღია 2024 წლის 02 ოქტომბერი, მაშინ როდესაც 2024 წლის აპრილში წარმოდგენილ დოკუმენტში ბოლო ცვლილებები 2022 წლის 5 ოქტომბერს იყო შეტანილი. ამ ორი დოკუმენტის შედარებით შინაარსობრივი ცვლილებები არ ვლინდება. უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში ამ რეკომენდაციაზე რეაგირების მტკიცებულებად მითითებულია აღნიშნული დოკუმენტის თავი 2, რომელშიც წინა ვერსიასთან შედარებით არავითარი ცვლილება არ არის განხორციელებული.

როგორც ინტერვიუებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, წინა შეფასების შემდეგ პროგრამებში ცვლილებები არ განხორციელებულა, აღნიშნული უპირატესად აკრედიტაციების პერიოდისთვისაა დაგეგმილი. ის სტუდენტები, რომლებთან შეხვედრის საშუალებაც ჰქონდათ ექსპერტებს, პროგრამის განვითარებაში ჩართულობას ვერ აღწერენ და არც ინფორმირებულები არიან ამ შესაძლებლობის შესახებ.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 5 შესრულებული არ არის.

რაც შეეხება უნივერსიტეტის პროგრამების მიმზიდველობის ზრდაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს, საკუთრივ პროგრამის განვითარებისკენ მიმართული აქტივობები არც თვითშეფასების ანგარიშში და არც ინტერვიუების პროცესში აღწერილი არ ყოფილა. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს კურსდამთავრებულების მოტივაციის ასამაღლებლად, რომ სწავლა გააგრძელონ ამავე უნივერსიტეტში შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურებზე, რასაც 2024 წლის ჩარიცხვების გაზრდილი დინამიკა მოწმობს. ინტერვიუების დროს აღნიშნავენ სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების გამოხატულ ინტერესს სტომატოლოგიის სარეზიდენტო პროგრამების მიმართ. რეკომენდაციის გაცემის მიზანი უპირატესად ის იყო, რომ პროგრამის ხელმძღვანელებს გაეანალიზებინათ, პროგრამის რა ტიპის ცვლილებები გახდიდა მათ მეტად მიმზიდველს კურსდამთავრებულთათვის და განეხორციელებინათ შესაბამისი განმავითარებელი მოდიფიკაციები. ეს პროგრამის განვითარებაში სტუდენტთა ჩართულობასაც გაზრდიდა. ამასთან ერთად, დაეხმარებოდა უნივერსიტეტს სტრატეგიული მიზნის შესრულებაში. ამ აქტივობების სრულად შესასრულებლად და შედეგების დასანახად ხაგრძლივ პერიოდში დაკვირვება იქნება აუცილებელი, თუმცა მონიტორინგის პროცესში არც ამ მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები იკვეთება. პასუხისმგებელ პირთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მიმდინარე პერიოდში პროგრამის განვითარებაზე ფიქრი არც იყო საჭირო, ვინაიდან აკრედიტაციის პროცესი პროგრამებს ჯერ წინ აქვს.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 6 შესრულებული არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმი (13/08/2024; MES 1 24 0000968313);
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" მიერ

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ (2024 წ. 15-16 აპრილი);

- ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუები დაწესებულების ქართველ და უცხოელ სტუდენტებთან;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, განვითარების და შეფასების წესი - რექტორის 2024 წლის 02 ოქტომბრის N501 ბრძანებით დამტკიცებული ცვლილებით;
- საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, განვითარების და შეფასების წესი - რექტორის 2022 წლის 05 ოქტომბრის N10 ბრძანებით დამტკიცებული ცვლილებით.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ყველა დაინტერესებული მხარის აქტიურ ჩართულობას პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში.
- რეკომენდებულია, დაიხვეწოს სასწავლო პროგრამები იმგვარად, რომ ისინი მეტად სასურველი გახდნენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის, რაც გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმით.

რჩევები:

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა ვიზიტის შედეგად (2024 წლის 15 და 16 აპრილი) შესასრულებლად გაცემული რეკომენდაციები:

რეკომენდაცია 7. რეკომენდებულია, პროგრამების შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე იყოს ღიად ხელმისაწვდომი.

რეკომენდაცია 8. რეკომენდებულია, სტუდენტებს რეალურად ეძლეოდეთ არასავალდებულო კურსების არჩევისა და შესწავლის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე იძებნება ინფორმაცია პროგრამების შესახებ პროგრამის შინაარსის დეტალური აღწერილობით. ამ ინფორმაციის მოძიება მარტივია და აძლევს საშუალებას პოტენციურ სტუდენტებს, ინფორმირებულები იყონ პროგრამების თავისებურებების შესახებ.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 7 შესრულებულია.

პროგრამების სტრუქტურაში გათვალისწინებულია არჩევითი კურსების კომპონენტი. ინტერვიუზე სტუდენტები ადასტურებენ, რომ ყოველსემესტრულად აქვთ კურსების არჩევის შესაძლებლობა. ტექნიკურად ეს სასწავლო პრატფორმის გამოყენებით ხდება. დანერგილია პრაქტიკა, რომ ჯგუფები შეთანხმებულად ირჩევენ ერთსა და იმავე კურსს და სტუდენტები ვერ აღწერენ, რამდენად შესაძლებელია, ინდივიდუალურად აირიონ კურსები, ვინაიდან ამის გამოცდილება და არც სურვილი არ ჰქონიათ.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 8 შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმი (13/08/2024; MES 1 24 0000968313);
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ (2024 წ. 15-16 აპრილი);
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (ბოლო შემოწმების თარიღი - 10.02.2025).
- შპს უნივერსიტეტი გეომედის საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა ვიზიტის შედეგად (2024 წლის 15 და 16 აპრილი) შესასრულებლად გაცემული რეკომენდაციები:

რეკომენდაცია 9. რეკომენდებულია, სტუდენტების კლინიკური აქტივობები იყოს შეფასებული, თუ ეს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს.

რეკომენდაცია 10. რეკომენდებულია, სტუდენტი იღებდეს ინდივიდუალურ უკუკავშირს შეფასების ყველა ეტაპზე.

რეკომენდაცია 11. რეკომენდებულია, სტუდენტები ჩართულები იყვნენ პორტფოლიოს წარმოებაში და იცნობდნენ თავიანთ შეფასებას.

რეკომენდაცია 9-ის საპასუხოდ პროგრამაში ან სილაბუსებში რაიმე სახის ცვლილები განხორციელებული არ ყოფილა. მედიცინის პროგრამის იმ კურსებში, სადაც ხდება კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება, შესაფასებელი მანიპულაციები დაკონკრეტებულია სილაბუსებში. მაგალითისათვის წარმოდგენილია სასწავლო კურსის: შინაგანი დაავადებები I სილაბუსი. ამავე კურსის განმახორციელებელმა პერსონალმა ინტერვიუს პროცესში ექსპერტებს განუმარტა მანიპულაციების შეფასების თავისებურებები. მანიპულაციები ფასდება შესაბამისად სტრუქტურირებული გამოცდების ფარგლებშიც. დგინდება, რომ ის კლინიკური აქტივობები, რომლებიც აღწერილი იყო 2024 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში (ასისტირება ქირურგიული ოპერაციების დროს, პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია, ნაზოგასტრული ზონდირება) წარმოადგენს სტუდენტების დამატებით, ნებაყოფლობით აქტივობას, არ არის შეფასებადი და არ უნდა იყოს განხილული საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილად.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და

განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 9 შესრულებულია.

სტუდენტების აკადემიური მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებით როგორც ადმინისტრაცია, ასევე სტუდენტები პოზიტიურად მიიჩნევენ ელექტრონული სისტემის დახვეწას - როგორც მიმდინარე, ასევე დასკვნითი შეფასების დროს კურსის განმახორციელებელ პირებს აქვთ საშუალება, დაუფიქსირონ სტუდენტს ინდივიდუალური უკუკავშირი ელექტრონული სისტემის თავისუფალ ველში. ამ შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, სტუდენტები ვერ იხსენებენ ინდივიდუალური უკუკავშირის მაგალითებს. ასეთი მაგალითები (ელექტრონულ სისტემაში გაკეთებული უკუკავშირის ეკრანული ფოტოების სახით) არც დამატებითი მოთხოვნის შედეგად იქნა მოწოდებული. პროგრამის განმახორციელებელთა ნაწილი სტუდენტებისათვის ინდივიდუალური უკუკავშირის მისაცემად მეილს, უნივერსიტეტის პორტალის სპეციფიურ ველებს, Google Classroom-ს იყენებს, თუმცა სხვები მიიჩნევენ, რომ ინდივიდუალური უკუკავშირისათვის სტუდენტმა საინფორმაციო ცენტრს უნდა მიმართოს.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 10 შესრულებულია ნაწილობრივ.

პორტფოლიო, როგორც შეფასების ინსტრუმენტი, გამოიყენება გეომედის სტუდენტებისათვის 2022 წლიდან. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონაცემების გარდა პორტფოლიო მოიცავს კონფერენციებში მონაწილეობას, ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, თვითგანვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების შესახებ ინფორმაციას, ასევე თვითშეფასებას. წარმოდგენილი პორტფოლიოს მაგალითებში ჩანს, რომ სტუდენტების მიერ შესავსები ველების ნაწილი შევსებულია. ინტერვიუების დროს ექსპერტებს მხოლოდ მაღალკურსელ სტუდენტებთან გასაუბრების საშუალება ჰქონდათ, რომელთა სასაწავლო პროგრამებით პორტფოლიოს წარმოება გათვალისწინებული არ არის. ამის გამო სტუდენტების ინდივიდუალური დამოკიდებულებისა და ჩართულობის შესწავლა შესაძლებელი არ აღმოჩნდა.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 11 შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა “მედიცინა” - აღწერილობა;
- შინაგანი დაავადებები I კურსის სილაბუსი;
- პორტფოლიოს მაგალითები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმი (13/08/2024; MES 1 24 0000968313);

○ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ (2024 წ. 15-16 აპრილი); ○ ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუები დაწესებულების ქართველ და უცხოელ სტუდენტებთან; ○ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, ინდივიდუალური უკუკავშირი შეფასების ყველა ეტაპზე იყოს სტანდარტული და ფართოდ გამოყენებული პრაქტიკა სტუდენტების წარმატების ხარისხის გასაზრდელად.
რჩევები:
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაციები არ გაცემულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაციები არ გაცემულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.

○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა ვიზიტის შედეგად (2024 წლის 15 და 16 აპრილი) შესასრულებლად გაცემული რეკომენდაციები:** **რეკომენდაცია 12.** რეკომენდებულია, დაწესებულებამ ჩაატაროს დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრები სტუდენტებისთვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების გაცნობის მიზნით. **რეკომენდაცია 13.** რეკომენდებულია, სტუდენტსა და უსდ-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში პუნქტი 2.2.10 (ქართულენოვანი), 2.2.8 (ინგლისურენოვანი) გადავიდეს სტუდენტთა ვალდებულებების ჩამონათვლიდან სტუდენტთა უფლებების ჩამონათვალში. **რეკომენდაცია 14**. რეკომენდებულია, ჩატარდეს სტუდენტებთან დამატებითი კონსულტაცია აპელაციის პროცედურების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. დაწესებულებაში სასწავლო წლის დასაწყისში ფაკულტეტების ადმინისტრაციის მიერ ჩაატარდა საორიენტაციო და საკონსულტაციო შეხვედრები სტუდენტებთან განახლებული ხელშეკრულების გასაცნობად. უცხოელ და ქარტველ სტუდენტებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ მათ ხელშეკრულება გააცნეს ადმინისტრაციასტან შეხვედრაზე, სადაც იმყოფებოდნენ ფაკულტეტის დეკანი და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იქნა ხელშეკრულების იმ პუნქტებზე, სადაც გაწერილია სწავლის საფასური გადახდის პირობები. ასევე, აღნიშნეს, რომ მათ გააცნეს საკონსულტაციო შეხვედრაზე მათი უფლებები, მაგალითად, რომ აქვთ ლექტორის შეფასების და შეცვლის უფლება, სალექციო საათების შერჩევის უფლება. ამასთან, ფაკულტეტის დეკანატები ტრადიციულად კონტრაქტებს აცნობენ პირველსემესტრელებს შესავალი/გაცნობის საორიენტაციო კვირეულის ფარგლებში. **მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 12 შესრულებულია.** სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში პუნქტი 2.2.10 (ქართულენოვანი), 2.2.8 (ინგლისურენოვანი), რომლის მიხედვითაც „სტუდენტი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, დაესწროს მოწვეულ მეცნიერთა საჯარო ლექციებს და ტრენინგებს, მიიღოს აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის საქმიანობაში“ სტუდენტის ვალდებულებებიდან გადატანილია სტუდენტთა უფლებების ჩამონათვალში (კერძოდ, პუნქტი 2.4.5 ქართულენოვან ხელშეკრულებაში და პუნქტი 2.4.5 ინგლისურენოვან ხელშეკრულებაში). აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების ნიმუშებით. **მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 13 შესრულებულია.**

უნივერსიტეტში აპელაციის გასაჩივრების ფორმის ელექტრონული მართვის სისტემაში ჩაშენების შემდეგ, ყველა ფაკულტეტის ადმინისტრაციამ ყველა სტუდენტს გაუგზავნა ამომწურავი ინსტრუქცია აპელაციის პროცედურების შესახებ. დაწესებულებაში საანგარიშო პერიოდში აპელაციის წესი არ შეცვლილა, თუმცა თავად პროცეურა გაუმჯობესდა. კერძოდ, ადრე ხდებოდა აპელაციის განცხადების დაწერა დეკანის სახელზე, ამჟამად ელექტრონული პლატფორმის საშუალებითაც შეიძლება აპელაციის განაცხადის გაკეთება. სასწავლო პროცესის მართვის პროგრამაში ჩაშენდა სპეციალური ღილაკი/ფუნქცია აპელაციისთვის. სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს დაეგზავნა სამუშაო მეილი, სადაც დეტალურად არის ახსნილი როგორ უნდა მოხდეს ამ სიახლის გამოყენება, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების მხრიდან.

ამასთან, უცხოელ და ადგილობრიც სტუდენტებთან ინტერვიურების დროს დადასტურდა, რომ სტუდენტები იცნობდნენ აპელაციის გაკეთების პროცედურებს. მათ შეუძლიათ აპელაციის გაკეთება, როგორც პროფესორთან, ასევე დეკანთან, თუკი პროფესორთან გაკეთებული აპელაციის შედეგები არ დააკმაყოფილებთ. ამასთან, ელექტრონული პლატფორმის საშუალების ტესტური გამოცდის დასრულებებისას იქვე ელექტრონულ პლატფორმაშივე არის სპეციალური გასაჩივრების ღილაკი. ამ ღილაკზე დაჭერით ავტომატურად ხდება სტუდენტის ნაწერის გადამისამართება ლექტორთან. ამის შემდეგ ხდება სტუდენტთან ერთად ნაწერის განხილვა. ზეპირი გამოცდების დროს უშუალოდ გამოცდის დასრულებისთანავე სტუდენტის მიერ ხდება ზეპირად პრეტენზიის გამოთქმა. თუ მაინც არ დააკმაყოფილებს ლექტორთან აპელაცია, სტუდენტს შეუძლია საჩივარის განცხადებით მიმართოს დეკანს.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 14 შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების ვებ-გვერდი https://geomedi.edu.ge/?paged=2&cat=18;
- სტუდენტთა პორტფოლიოს ნიმუშები;
- სტუდენტთა ხელშეკრულების ნიმუშები;
- სტუდენტთა სერვის ცენტრის დებულება;
- სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები;
- უცხოენოვან სტუდენტებთან გაგზავნილი ინფორმაცია აპელაციის წესის შესახებ;
- გამოცდის შედეგის გასაჩივრების ინსტრუქცია;
- დაწესებულების ელექტრონული პლატფომის საშუალებით აპელაციის განხორციელების ამსახველი ფოტომასალა (ე.წ. „ კომპიუტერული ეკრანის სურათი);
- სტუდენტების საორიენტაციო შეხვედრაზე ელექტრონული ფოსტით მოწვევის წერილი;
- სტუდენტებთან ჩატარებული საორიენტაციო და საკონსულტაციო შეხვედრებზე გაზიარებული ზოგადი საინფორმაციო მასალის საპრეზენტაციო მასალა;
- სტუდენტებიდან მიღებული უკუკავშირის დამადასტურებელი მასალა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმი (13/08/2024; MES 1 24 0000968313);

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ (2024 წ. 15-16 აპრილი);
- ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებთან (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან);
- ინტერვიუები დაწესებულების ქართველ და უცხოელ სტუდენტებთან;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა ვიზიტის შედეგად (2024 წლის 15 და 16 აპრილი) შესასრულებლად გაცემული რეკომენდაციები:

რეკომენდაცია 15. რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა პორტფოლიოსა და ანტიპლაგიატის პროგრამის შესახებ.

რეკომენდაცია 16. რეკომენდებულია, უსდ-მ გამოყოს უცხოელი სტუდენტებისთვის ცალკე პერსონალი/კადრი, რომელიც კოორდინირებას გაუწევს მათ საუნივერსიტეტო გარემოში წარმოქმნილი პრობლემების შემთხვევაში (როგორც ადგილზე, ისე დისტანციურად) და დაეხმარება მათ შესაბამის

სამსახურებთან კომუნიკაციაში. ამასთან აუცილებელია, ასეთი თანამდებობის შემოღების შემთხვევაში, სტუდენტები ინფორმირებულობა ამგვარი სერვისის ხელმისაწვდომობის შესახებ დროულად და სრულად იყოს უზრუნველყოფილი.

რეკომენდაცია 17. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შექმნას სტუდენტთა CV ბანკი, გაზარდოს პოტენციური დამსაქმებლების რაოდენობა, აკონტროლოს მიღებული ვაკანსიების რელევანტურობა და სტუდენტების კვალიფიკაციებს და დამსაქმებლის მოთხოვნას შორის თანხვედრა ვაკანსიების შეთავაზებისას.

რეკომენდაცია 18. რეკომენდებულია, ჩატარდეს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ უფრო დეტალური კვლევა.

პლაგიატის შესახებ სტუდენტებს აკადემიური წერის კურსის ფარგლებში აცნობენ. ანტი-პლაგიატის სისტემა Copyleaks დანერგილია უნივერსიტეტში და გამოიყენება როგორც პროგრამის ფარგლებში შესაფასებელი აკადემიური ნაშრომების, ასევე პრეზენტაციისა და პუბლიკაციისათვის გამიზნული ნაშრომების შესაფასებლად. ამის შესახებ ინფორმირებულობის დონე ვარიაბელურია, სტუდენტთა ნაწილი თვლის, რომ მხოლოდ პუბლიკაციისთვის გამიზნული ნაშრომები მოწმდება აღნიშნული სისტემით და მათი ნაშრომების შეფასება არ ხდება. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სტუდენტებთან ცნობადობის გაზრდის მიზნით ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები და ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის შესახებ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია გაზიარებულ იქნა უსდ-ს წარმომადგენლების მხრიდან (არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად). თუმცა, წინა შეფასების შემდგომ განვლილ პერიოდში პორტფოლიოს შესახებ ცნობადობის გაზრდაზე მიმართული ღონისძიებების მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა, არც დამატებითი მოთხოვნის შედეგად იქნა მოწოდებული და არც არგუმენტირებულ პოზიციასთან იყო დართული. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ენახათ პორტფოლიოს მაგალითები და ინტერვიურებულ სტუდენტთა ნაწილი ინფორმირებული იყო პორტფოლიოს შესახებ, ექსპრეტთა ჯგუფი თვლის, რომ რეკომენდაციის შესრულების პროგრესის სრულყოფილი შეფასებისათვის აუცილებელია ინფორმირებაზე ორიენტირებული აქტივობების დემონსტრირება.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 15 შესრულებულია მეტწილად.

უცხოელი სტუდენტების კოორდინირებისათვის ცალკე პერსონალის გამოყოფასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე უნივერსიტეტის საპასუხო რეაქცია რამდენადმე ბუნდოვანია. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით რეკომენდაცია გათვალისწინებულია, თუმცა ფაქტობრივი მდგომარეობით მსგავსი პერსონალი გამოყოფილი არ არის, არც სერვის-ცენტრის სტრუქტურაა შეცვლილი. სტუდენტების აზრით მათ ნებისმიერ შეკითხვასა თუ პრობლემაზე შეუძლიათ პასუხის მიღება უპირველეს ყოვლისა დეკანატთან კომუნიკაციით, ასევე სერვის-ცენრის დახმარებით. უნივერსიტეტმა წარმოადგინა საორიენტაციო და საკონსულტაციო შეხვედრებზე სტუდენტების მიწვევის შეტყობინებები და

გაცნობითი პრეზენტაცია. უნივერსიტეტს გარეთ საკონტაქტო პირის ჩართულობის შემთხვევები (რაც აღწერილი იყო 2024 წლის ავტორიზაციის მონიტორინგის დასკვნაში) მიმდინარე ვიზიტის დროს არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, სტუდენტებზე დამატებითი ზედამხედველობის საჭიროება ამჟამად არ გამოკვეთილა. აქვე აღსანიშნავია, რომ ის სტუდენტები, რომლებსაც ექსპერტები შეხვდნენ, დამამთავრებელ კურსებზე სწავლობენ და უკვე ადაპტირებულები არიან როგორც უნივერსიტეტთან, ასევე უცხო ქვეყნის გარემოსთან.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 16 პირდაპირი გაგებით შესრულებული არ არის, თუმცა ამ რეკომენდაციის გაცემის განმაპირობებელი გარემოებები აღარ იკვეთება, რის გამოც მიზანშეწონილი არ არის რეკომენდაციის დატოვება.

სტუდენტთა კარიერული სერვისი ამ ეტაპზე ინტეგრირებულია სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურთან და ეს სამსახური პასუხისმგებლობას იღებს, რომ სტუდენტებს გადასცეს მათთან მოსული ინფორმაცია სტაჟირების ან ვაკანსიების შესახებ. ეს უფრო მეტად სტუდენტურ აქტივობებსა და სტუდენტურ დასაქმებას გულისხმობს და არ ატარებს კარიერული განვითარების შინაარსს. CV-ბანკის ალტერნატივად უნივერსიტეტის წარმომადგენლები მოიაზრებენ სტუდენტთა ბაზას ელექტრონული სისტემიდან და პორტფოლიოებს. წარმოდგენილი პორტფოლიოები ამ ეტაპისთვის არ არის საკმარისად სრულყოფილი, რომ ჩაანაცვლოს CV, გარდა ამისა, მაღალკურსელთა პორტფოლიოები ფიზიკურად არ არსებობს. რეკომენდაციის მიზანს წარმოადგენდა სტუდენტების კარიერულ განვითარებაზე ორიენტირებული კონკრეტული საფეხურების შეთავაზება შესაბამისი სამსახურისათვის, რაც საანგარიშო პერიოდში შესრულებული არ ყოფილა. რეკომენდაციის შესრულების მტკიცებულებად თვითშეფასების ანგარიშში დაფიქსირებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, რომელზეც რეკომენდაციასთან რელევანტური ინფორმაცია არ იძებნება.

მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 17 შესრულებული არ არის.

დაწესებულების სტუდენტებთან ურთიერთობების სამსახური პერიოდულად ატარებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებისა და მათი კარიერული განვითარების შესახებ კვლევას. ჩატარებული კვლევის შესახებ განახლებული ინფორმაცია გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე (https://geomedi.edu.ge/wp-content/uploads/pdf/Graduate%20statistics.pdf). ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია მოიცავს წლების მიხედვით (2020 წლიდან) კურსდამთავრებულთა მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებლებს და სწავლის გაგრძელების მაჩვენებლებს ფაკულტეტებისა და პროგრამების მიხედვით. აღნიშნული კვლევა შეიცავს მხოლოდ მშრალ რაოდენობრივ მონაცემებს და წინა წლებში ჩატარებული ანალოგიური კვლევების მსგავსია, თუმცა, უნდა აღინიშნოს დადებითი დინამიკა კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების სტატისტიკაში. რეკომენდაციის მიზანი იყო, კვლევას შეეძინა თვისებრივი ხასიათი და შეფასებულიყო კარიერული წინსვლის შეფერხების შესაძლო მიზეზები, რაც პოტენციურად პროგრამების

განვითარებისთვის იქნებოდა გამოყენებული. **მონიტორინგის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია 18 შესრულებულია ნაწილობრივ.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ სტუდენტური სერვის-ცენტრის დებულება; ○ სტუდენტების საორიენტაციო შეხვედრაზე მოწვევის დასტური; ○ სტუდენტთა საორიენტაციო შეხვედრაზე გასაცნობი პრეზენტაცია; ○ სტუდენტების პორტფოლიოების ნიმუშები; ○ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებისა და მათი კარიერული განვითარების შესახებ კვლევის დოკუმენტი https://geomedi.edu.ge/wp-content/uploads/pdf/Graduate%20statistics.pdf; ○ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმი (13/08/2024; MES 1 24 0000968313); ○ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ (2024 წ. 15-16 აპრილი); ○ ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებთან (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან); ○ ინტერვიუები დაწესებულების ქართველ და უცხოელ სტუდენტებთან; ○ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.
რეკომენდაციები: ● რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა პორტფოლიოსა და ანტიპლაგიატის პროგრამის შესახებ. ● რეკომენდებულია, დაწესებულებამ მეტად იზრუნოს სტუდენტების კარიერის დაგეგმვასა და კარიერულ წინსვლაზე - გააძლიეროს ურთიერთობა პოტენციურ დამსაქმებლებთან, გაზარდოს მათი რაოდენობა, შექმნას სტუდენტთა CV ბანკი, აკონტროლოს მიღებული ვაკანსიების რელევანტურობა და სტუდენტების კვალიფიკაციებს და დამსაქმებლის მოთხოვნას შორის თანხვედრა ვაკანსიების შეთავაზებისას. ● რეკომენდებულია, ჩატარდეს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ კვლევის რაოდენობრივი შედეგებისა და დინამიკის ანალიზი შესაძლო მიზეზების იდენტიფიკაციითა და ამ შედეგის გამოყენებით პროგრამების განვითარების პროცესში.
რჩევები:

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაციები არ გაცემულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაციები არ გაცემულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაციები არ გაცემულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაციები არ გაცემულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაციები არ გაცემულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:
7.3 საინფორმაციო რესურსი
○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. ○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაციები არ გაცემულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:

7.4 ფინანსური რესურსი
○ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. ○ უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. ○ უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. ○ უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. ○ უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაციები არ გაცემულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება:

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლ	ქართული	0912.1.1. დიპლომირებული მედიკოსი	360	აკრედიტებული	08.05.2020 MES 5 20 00367134
2	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	ინგლისური	0912.1.1. დიპლომირებული მედიკოსი	360	აკრედიტებული	08.05.2020 MES 4 20 00367133

3	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლ	ქართული	0911.1.1 დიპლომირებული სტომატოლოგი	300	აკრედიტებული	10.12.2019 №234
4	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	0915.1.1 ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	12.12.2019 №238
5	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	0915.1.1 ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი	120	აკრედიტებული	12.12.2019 №239
6	ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	0413.1.1 ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	240	აკრედიტებული	10.12.2019 №235
7	ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	0413.1.1 ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში	120	აკრედიტებული	10.12.2019 №236